№ 59
კვირა 17 მარტი, 1902 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერი შაურ ჭ

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1877—1902

# ივერია

91

№ 59
კვირა 17 მარტი, 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანტორას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი**

**„ი ვ ე რ ი ა"**

ღირს **რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად** (8 მ. და 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—,,ივერიის'' რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа". ტელეფონი № 227.

**სამკერვალო**

**ქალთა ტანისამოსისა.**

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

(13—287—4)

**ტფილისის ათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი** წესდების 91 §-ის ძალით ამით აუწყებს ბბ-ნთ რწმუნებულთ, რომ აპრილის 25-ს ამა 1902 წლისას, დილის 10 საათზედ, ბანკის სადგომში დანიშნულია

**მორიგი წლიური კრება**

**განსახილველი საგნებია:**

1. ზოგადი მოხსენება ბანკის მოქმედების ანგარიშის შესახებ 1901 წ.
2. განხილვა და დამტკიცება ბანკის მოქმედების ანგარიშისა 1901 წლისა.
3. განხილვა და დამტკიცება ბანკის სავარაუდო შემოსავლისა და ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისათვის.
4. მოხსენება კომისიისა, რომელშიაც არიან წევრნი ბანკის ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობისა ბ-ნთ რწმუნებულთა არაჩვეულებრივ კრების იმ გარდაწყვეტილებისა, რომელიც წარსულ 1901 წლის დეკემბრის 10 იქმნა დადგენილი.
5. არჩევანები გამგეობის ორის წევრისა იმათ მაგიერ, რომელნიც რიგით თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას, ესე იგი უგანათ. თ. მიხეილ გრუზინსკისა და ქრისტეფორე იოსების-ძის მამაცაშვილის მაგიერ და ორის მათის კანდიდატისა, დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, ერთისა თ. ლევან ლევანის-ძის ჩერქეზიშვილის მაგიერ, რომელიც რიგით ანებებს თავს დამფასებლის თანამდებობას და მეორისა იმ ორის მაგიერ, რომელნიც შარშან იქმნენ ამორჩეულნი, ესე იგი თ. ი. გ. ჯორჯაძისა და თ. გ. ი. რატიშვილის მაგიერ და აგრეთვე არჩევანი მათის კანდიდატებისა.

შენიშვნა: კრება რწმუნებულთა კანონიერად იქმნება ცნობილი, რამდენიც უნდა იყოს რიცხვი კრებაზედ მოსულ რწმუნებულთა.

(3—6.—1)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ე ქ ი მ ი

**ვახტანგ ღამბაშიძე**

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
**ე. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
**ქ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.
**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.
**გ. ხ. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

**კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.
**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი,** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
**ა. ნ. შაპაკოვსკი.** 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.)

## დღევანდელი და ხვალინდელი დღე ჩვენის თავად-აზნაურობისა.

—

საშინელს სურათს გვიყენებს თვალ-წინ ჩვენის თავად-აზნაურობის დღევანდელი მდგომარეობა. თუმცა კარგა ხანია, რაც ეს გულის შესაზარი კრიზისი ეწია ჩვენს ერს, მაგრამ ლიტერატურას შესაფერი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის და, როდესაც შეჰხებია, ჩემის ფიქრით, ყოველთვის ცალ-მხრივ.

ჩვენი პუბლიცისტიკაც და ბელეტრისტიკაც უმეტეს ნაწილად ჰკიცხავდნენ განსაცდელში ჩავარდნილ თავად-აზნაურობას და თავს დასჩხაოდნენ ყორნებივით, თითქოს სრულს განადგურებასა და სიკვდილს უქადიანო.

ინტელიგენცია ორ ბანაკად გაიყო, ორ გვარ მიმართულებას დაადგა. ერთის მიმართულებისა კიდევ ითმენს და ეხატრება თავად-აზნაურობას, ჰგონებს, რომ ისიც გამოადგეს თავის ქვეყანასა. ხოლო მეორე მიმართულების ინტელიგენციამ, რიცხვით მცირემ პირველზედ, სრულიად უარ-ჰყო მისი მნიშვნელობა საეროვნო ეკონომიაში, ხოლო ზოგიერთი გაფანატიკოსებული ადეპტი ამ მოძღვრებისა იქამდე მივიდა, რომ ამტკიცებს: ჩვენს ერს მანამდის არა ეშველება-რა, სანამ ჩვენი თავად-აზნაურობა არ გაჰქრება სრულიად და არ აღიგვება დედა-მიწის ზურგიდანაო.

ეს ისეთი მრავალ-მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელსაც გვერდი არ უნდა აუაროს პუბლიცისტიკამ; ისეთი ფაქტია, რომლის ახსნა და გამორკვევა აუცილებელია შეგნებულის მოღვაწეობისათვის.

ის საშინელი მძულვარება თავად-აზნაურობისადმი, რომლითაც სავსე აქვს გული ზემოხსენებულ ბანაკის ინტელიგენციას, უფრო არა თავად-აზნაურთაგან გამოსულს, თუმცა უსამართლოა, მაგრამ ადვილი ასახსნელია ისტორიულად. ეს მძულვარება ნაშთია მონობაში გამოვლილ ტანჯვისა ბატონების მტარვალობისაგან, ადამიანურ თავმოყვარეობის ხანგრძლივის დაჩაგრულობისა, დამცირებისა; ჯერ დაუშუშებელი წყლულია საუკუნოებით შეურაცხყოფილ, წამებულ სულისა. ეს ბუნებრივი მოვლენაა და ამ მხრივ გასამართლებელია.

ეგნატე ნინოშვილი, მაგალითად, ჰუმანიური მწერალია, მტერია უსამართლობისა და მქადაგებელი ძმობისა და სიყვარულისა. მაგრამ მისგან დასურათებული ტიპი ეხლანდელის აზნაურისა, „ტარიელ მკლავაძე", ცალმხრივია, ცალმოგვი. „ტარიელ მკლავაძე" მხოლოდ მტარვალად არის დასურათებული. მისი ნაკლულოვანებანი გაზვიადებით არის გამოხატული, ადამიანური ღირსებანი-კი სრულიადაც ვერ შეუმჩნევია მხატვარს. „ტარიელ მკლავაძეა" მხოლოდ მხეცი, ყოველსავე ადამიანურ ნიშან-წყალს მოკლებული.

ჩემის ფიქრით, ამ გვარი ტიპი შეუძლებელია. ყოვლად შეუძლებელია, რომ ეხლანდელს ცხოვრებაში, როდესაც ერთი მეორეზე უფრო ძლიერნი მეტოქენი ებრძვიან ერთმანეთს, ამ საშინელ ბრძოლის ასპარეზზე, სადაც ფიზიკურ ძალას-კი არა, ფულსა აქვს მეტი მნიშვნელობა, საწყალი „ტარიელ მკლავაძე" მხოლოდ მჩაგვრელი იყოს. პირ-იქით, მე ვფიქრობ, რომ მკლავაძეს უფრო ჩაგრულთა შორის უძევს წილი. სიღარიბე, სისაწყლე, უილაჯობა სიყრმითვე სდევნიდა ტარიელს. არა ერთი და ორი გაბურჟუებული გლეხი მიაყენებდა ამ გმირს მრავალ გვარ შევიწროებას. დედა, ძმები, დები, შვილები, ვინ იცის, ეგებ შიმშილით ეხოცებიან. ისიც ადამიანია, იმასაც გული აქვს, იმასაც უყვარს თავის ოჯახის წევრნი. ვინ იცის, რამდენი მწუხარებაა მის გულში, რამდენი ცრემლია შეგუბებული! თუ ის სუსტსა სჩაგრავს, იმას სხვა, უფრო ძლიერნი, სჩაგრავენ. თუ ტარიელ მკლავაძეს გული გაჰქვავებია, გაჰმხეცებია, მხოლოდ ნამეტანის გაჭირვებით; თუ იბრძვის, იმიტომ რომ ყველანი იბრძვიან; თუ მისის ბრძოლის იარაღი ვერ არის კეთილშობილური, ეგ მისი ბრალი არ არის; სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში, ვისაც რა იარაღი მოჰხვდება ხოლმე, იმ იარაღით იბრძვის.

ამ გვარად „ტარილ მკლავაძეს" მთლად მხეცს ვერ დავუძახებთ. იმასაც ულევის გულის სიღრმეში ადამიანურ გრძნობის ცეცხლი, კარგი მწერალი ის იქნება, ვინც ამ გულის სიღრმეს ჩასწვდება, შიგ ჩაიხედავს და იქ ანთებულ ცეცხლის ბრწყინვალე შუქს მოგვინათებს.

გაოცებული მკითხველი იკითხავს, რა უნდა იყოს „ტარიელ მკლავაძის" გულში ისეთი, რომ ჩვენ მოგვენათოს, გაგვაკეთილშობილოს. ეს ის ადამიანური გრძნობაა, რომელიც ყოველ ღვთის დანაბადის გულში ანთია, თუ კი იგი ბუნებით ავადმყოფი არ არის.

მეტს სულ-გრძელობას იჩენს ამ შემთხვევაში მეორე მიმართულების ინტელიგენცია, რომელიც უფრო თავად-აზნაურობიდგან არის გამოსული. ეს ინტელიგენცია თითქმის გულგრილად შესცქერის თავად-აზნაურობის სულსულთა-ბრძოლას. ამ ინტელიგენციას არა სძულს მდაბიო ხალხი, მეტადრე გლეხ-კაცობა, რომლის გამდიდრებულნი წევრნიც ყორნებივით მისჩერებიან თავად-აზნაურობას, აცა როდის განუტევებს სულს, რომ შემდეგ თავს დავესხათო. პირ-იქით, ხან-და-ხან ამ ინტელიგენციის წევრნიც ესვრიან ხოლმე ქვას განსაცდელში ჩავარდნილ წოდებას, თუმცა, რასაკვირველია, არა ისეთის ფანატიკოსობითა დ კბილთა-ღრჭენით, როგორც პირველ ბანაკის ინტელიგენტები.

ამ გვარ მდგომარეობაში საცოდავია სწორედ თავად-აზნაურთა ასე თუ ისე მომხრე ინტელიგენცია. დღევანდელ დემოკრატულ აზრების ზედ-გავლენის გამო იგი წინააღმდეგია თავად-აზნაურობისა, როგორც წოდებისა, თან ეკონომიურად და ზნეობრივად მჭიდრო კავშირი აქვს ამ წოდებასთან; ამიტომ ყოყმანობს, ორჭოფობს, არ იცის, ვის მიემხროს, პირველ ბანაკის ინტელიგენციის ფანატიკოსობა აკლია. ამიტომ ამ ინტელიგენციას, რა კი თავის მომხრედ არ მიაჩნია, სძულს მეორე ბანაკის ინტელიგენცია და უწოდებს რეტროგრადს, ფეოდალიზმის მომხრეს და სხ.

რასაკვირველია, არიან ამ ინტელიგენტებში ისეთნი, რომელთაც არ შეუძლიანთ შუაგულ გაჩერება და ფანატიკურად სძულთ მაღალ წოდების მოწინააღმდეგე ინტელიგენციის მიმართულება. ფანატიკოსების მორიგება შეუძლებელია. მათ შორის ბრძოლა აუცილებელია, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. მათ რომ ხალხი აჰყვეს, ერთი საშინელი შფოთი და სისხლის-ღვრა ასტყდება. მაგრამ, საბედნიეროდ, ხალხი უფრო ჭკვიანია მათზე.

მე წინააღმდეგი არა ვარ მოძრაობისა, საფუძვლიანის მოძრაობისა, ისეთის მოძრაობისა, რომელსაც შეუძლიან ნაყოფი მოიტანოს. მე წინააღმდეგი არა ვარ ბრძოლისა, იმათ პირისპირ ბრძოლისა, რომელნიც მართლა-და ნამდვილად აფერხებენ ხალხის კეთილდღეობის წარმატებას. ბრძოლა-კი ეხლანდელ ქართველ თავად-აზნაურობის საწინააღმდეგოდ მიმაჩნია მხოლოდ უგუნურებად; ჩვენის ფანატიკოსების აყოლა-კი მიუტევებელ შეცდომად.

კულტურის მხრივ აზნაური უფრო მაღლა სდგას, ვიდრე გლეხი; პირველს მეტი მოთხოვნილება აქვს, ვიდრე მეორეს. თანასწორის სიმდიდრის პატრონთა შორის აზნაურს უკეთა აქვს მოწყობილი სახლ-კარი, უკეთ აცვია და ჰხურავს და უკეთ საზრდოობს, ვიდრე გლეხი. რით აიხსნება ეს? ისტორიით, ტრადიციით. მავნებელი თვისებაა, თუ არა, მოთხოვნილების მეტობა? სრულიადაც არა. მოთხოვნილებაა გამომწვეველი, აღმძვრელი პროგრესისა, განვითარებისა. მხოლოდ ის წრე, ის ჯგუფი საზოგადოებისა მიდის წინ, რომელიც არ სჯერდება თავის აწინდელ მდგომარეობას, ბედს. ბრძოლა თავის მდგომარეობის განსაკარგებლად, მეცადინეობა, რომ უკეთეს ცხოვრებაში შესდგა ფეხი, აი, მიზეზი სწრაფის წინსვლისა.

ჩვენს თავად-აზნაურობას ჰქონდა აქვს ეს თვისება. ამის გამო იგი ისეთ რასმე სჩადის, რასაც გლეხი ძნელად თუ ოდესმე გაჰბედავს. ღარიბი აზნაური, მაგალითად, თავს სწირავს, რომ შვილს უმაღლესი განათლება მიანიჭოს. არ სვამს, არ სჭამს, არ იცვამს იმ იმედით, რომ შემდეგ მისი აღზრდილი შვილი ერთი ასად დააჯილდოებს მის ხანგრძლივ მოთმინებას. ასეთია ძალა იდეალისა. ეს იდეალი ასულდგმულებს, ამხნევებს ღარიბს აზნაურს მის მრავალ-გვარ გაჭირვებაში.

თუ შვილის აღზრდა ვერ შესძლო აზნაურმა, მაშინ გამოჰყავს თავისი შვილები სამრეწველო და სავაჭრო ასპარეზზე. აქ, რასაკვირველია, გამოუცდელობისა და უფულობის გამო, თავად-აზნაურობას ჯერ-ჯერობით დაბალი ადგილი უჭირავს, თუმცა-კი, ვინ იცის, შეიძლება ბოლოს-და-ბოლოს შესამჩნევი ადგილიც დაიჭიროს.

ბევრი ემდურის თავად-აზნაურობას, რომ თავისს შვილებს მამა-პაპისებურ გუთანს და თოხს არ აძლევს ხელში. ეს სამდურავი უსაფუძვლო და უსამართლოა, რადგან თავად-აზნაურობამ კარგად იცის, რომ ნოესებურის გუთნის და თოხისაგან მადლი არა გამოვა. ლაქიობა რა არის, ისიც-კი უფრო მომგებიანი საქმეა ახლანდელ დროში, ვიდრე ჩვენის გლეხურის თოხის გამუდმებული ხმარება.

ამგვარად, ეს მეცადინეობა თავის განთავისუფლებისა მძიმე მუშაობისაგან ძველებურ იარაღით თავის კეთილ-დღეობის გაუმჯობესებისა, ამაღლებისა, ედება საფუძვლად თავად-აზნაურობის წინ-მსვლელობას.

რაც უნდა ვილაპარაკოთ, ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება და უმეტესი რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა თავად-აზნაურობის შვილნი არიან. ნუ მიაწერენ ამ გარემოებას თავად-აზნაურობის სიმდიდრეს. პირ-იქით, ღარიბი თავად-აზნაურობა უფრო ჰზრდის შვილებს. ვიდრე მდიდარი, როგორც დაამტკიცა სტატისტიკამ. ამას გარდა, ნუ-თუ ამდენ გლეხში შეძლებულთა რიცხვი ისე მცირეა, რომ შვილების აღმზრდელ თავად-აზნაურობას ვერ შეედრება? რასაკვირველია, არა. მაშ რატომ არა ჰზრდიან გლეხნი თავის შვილებს?! ნურავინ იტყვის, რომ სიღარიბის გამოო. მკითხველი უთუოდ ბევრს იცნობს მდიდარ გლეხს, რომელიც შვილს არა ჰზრდის, და ძლიერ ცოტას ისეთს, რომელიც შვილსა ჰზრდის. მაშ, რა არის მიზეზი? მხოლოდ და მხოლოდ ტრადიცია.

და გლეხობა მანამდის არ განთავისუფლდება თავად-აზნაურობის ბელადობისაგან, სანამ განათლებას არ გაიხდის თავისს უმთავრეს იდეალად.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ბელადობა თავად-აზნაურობისა გლეხთა უფლების შეზღუდვას მოასწავებდეს. სრულიადაც არა. გონებრივ წინამძღოლობასა და უფლებრივ ბატონობას შუა დიდი ზღვარი სძევს.

მაშ, თუ ჩვენის ერის კულტურის ამაღლება გვსურს, ხელი უნდა შევუწყოთ ხსენებულ ბუნებრივ პროცესს, ე. ი. გულითა და სულით უნდა მივეგებოთ თავად-აზნაურობის მისწრაფებას განათლებისადმი და უნდა გავუადვილოთ შვილების აღზრდის საქმე. ეს იქნება ცნობიერობის შეტანა სტიქიურ ისტორიულ პროცესში, რითაც მრავალი ენერგია, რომელიც უამისოდ ტყვილა-უბრალოდ გაჰქრებოდა, დაცულ იქნება. ეკონომიურად დაიხარჯება და ნაყოფიერ მწარმოებელ ძალად გადაიქცევა. მაგალითად, გაუნათლებელ და გამოუცდელ სოფლელ აზნაურისათვის, თუნდა იმავე ტარიელ მკლავაძისათვის ძნელია ვაჭრობისათვის ხელის მოკიდება; ასეთთაგან ასში ერთი თუ შეიქმნება რიგიანი ვაჭარი შემთხვევისა და ბედის წყალობით. სავაჭრო სასწავლებელი ვისაც გაუთავებია, მისთვის-კი, ცხადია, ვაჭრობა არაფერი საძნელოა, ის ადვილად გაიკაფავს სავაჭრო გზას. უბრალო თოხნა და ხვნა თავის დღეში სიმდიდრეს ვერ შეგვძენს. სამეურნეო ცოდნა-კი ადვილად მიანიჭებს ადამიანს უზრუნველ ლუკმა-პურს.

ერთი სიტყვით, ერთად-ერთი ხსნა თავად-აზნაურობისა არის სწავლა სავაჭრო, სამეურნეო, სატეხნიკო, საუნივერსიტეტო, რაც, ცხადია, სასარგებლო იქნება მთელის ერის კეთილდღეობისათვის.

ვასილ წერ.

—

# ახალი ამბავი

— დღეს, 17 მარტს, საღამოს რვა საათზე არტისტიულ საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კრება „უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების დამხმარებელ კავკასიის საზოგადოების“ დამფუძნებელთა. კრებამ უნდა განიხილოს ის წინასწარი ღონისძიებანი, რაც საჭირო იქნება საზოგადოების მოქმედების დასაწყებად. ყველა თანამგრძნობელს შეუძლიან დაესწროს ამ კრებას.

— რედაქციამ მიიღო სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოცემული „შრომანი შინამრეწველობის მოღვაწეთა პირველ კრებისა ტფილისში“, 208 გვ. ამ წიგნის განხილვას თავისს დროზე წარვუდგენთ მკითხველებს.

— ქალაქის თავის მოადგილემ შესტაკოვმა გამგეობის გუშინ-წინდელ სხდომაზედ მოახსენა გამგეობას, რომ გუბერნიის საქალაქო საქმეების საკრებულო არავითარს დაბრკოლებას არ ჰხედავს, რომ დაარსებულ იქმნას ქალაქის საკუთარი საყასბო დუქანი. გამგეობამ დაადგინა: 1) ამ დუქნის შესახებ ეხლავე განხორციელდეს გამგეობისა, შეერთებულ კომისიისა და საბჭოს განსაკუთრებულ კომისიის გადაწყვეტილება. 2) ჩაირიცხოს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში ამ დუქნისათვის სერმიად (оборотн. капиталъ) 20,000 მანეთი 3) ყველა ეს დადგენილება გარდაეცეს ასასრულებლად უფროს ბუჰლალტერს გამგეობისას.

— ქალაქის გამგეობამ მიწის მზომელის თანაშემწის თავისუფალს თანამდებობაზედ დანიშნა კ. ი. რაზვედოვსკი.

— ტრამვაის მეთვალყურე კომიტეტის თავმჯდომარემ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობას წარუდგინა თავისი დადგენილებანი ტრამვაის მოხელეთაგან სამსახურის წესის დარღვევისა, ტრამვაიზედ კერძო პირთა სარგებლობის შესახებ და სხვა. გამგეობამ დაამტკიცა კომიტეტის დადგენილებანი.

— დღეს, 17 მარტს, საღამოს 5 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია „სამარხ კასის“ წევრთა კრება. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობა, სარევიზიო კომისია და მათი კანდიდატები.

— გუშინ-წინ, 15 მარტს, ქალაქის თვითმმართველობის გამგეობის სხდომას ქალაქის თავის მოადგილემ შესტაკოვმა მოახსენა შემდეგი. როდესაც დაიარე გამგეობისა და საბჭოს კანცელარიები, შევნიშნე, რომ გამგეობის მოსამსახურენი ტელეფონით ქალაქის საქმეზედ-კი არ ლაპარაკობენ, არამედ კერძო თავიანთ პირად საქმისთვის აბანდებენ ტელეფონს. ამისთანა უწესოება შევნიშნე უფრო მოსამსახურე ქალებს. გამგეობამ დაადგინა: გამოეცხადოსთ ყველა მოსამსახურეთ, რომ თუ უსაჭიროესი კერძო საქმე არა აქვთ-რა, ისე ტელეფონით ლაპარაკის ნება არ ეძლევათ.

— ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ბ. ივანოვსკიმ მოახდინა შემდეგი განკარგულება: როდესაც ის მოკლე ვადით გაემგზავრება ხოლმე რკინის გზის დასათვალიერებლად, მას არ უნდა ეგებებოდნენ და არც უნდა აცილებდნენ სამსახურისა და განყოფილების უფროსები.

— 15 მარტს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ალექსი ბრძანდებოდა მწირველი ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში. წირვის დროს გალობდნენ რუსულად მთელი სასწავლებლის მოწაფენი ერთად ბ. სულხანიშვილის ლოტბარობით და რიგიანადაც გალობდნენ. წირვის შემდეგ ყოვლად-უსამღვდელოესმა დიდი მადლობა გადაუხადა როგორც მასწავლებელს, აგრეთვე მოწაფეებს რიგიანის გალობისათვის. ბოლოს დროს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესმა ალექსიმ სთხოვა, რომ ქართულადაც ეგალობნათ „აცხოვნე უფალო ერი შენი“. პირველად ყველამ ერთბაშად დაიწყო გალობა, ბოლოს ოთხის მოწაფის მეტი ყველანი გაჩუმდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ამ სასწავლებელში ქართულს გალობას ყურადღებას არ აქცევენ, რისგამოც ქართული გალობა უკან არის ჩამორჩენილი. სასურველია, რომ ბ. სულხანიშვილმა ამას შემდეგ მაინც ყურადღება მიაქციოს ქართულს გალობას...

— ხუთშაბათს, 14 მარტს, სამეურნეო ბანკის სადგომში, როგორც „ცნობ. ფურც.“ გადმოგვცემს, შესდგა ახლად დაარსებულის ქართველ ქალთა ამხანაგობის „თამარის“ წევრთა კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრად: გრაფ. ან. აპრაკსინისა (თარხნიშვილის ქალი), კნიაჟნა ე. თარხნიშვილის ასული, კნ. თ. ზ. თარხნიშვილისა, დ. დ. დეკანოზიშვილის ასული, კნიაჟნა მ. ამილახვარი, კნ. ფალავანდოვისა და კნ. ჯავახიშვილისა. აგრეთვე არჩეულ იქმნენ სხვა-და-სხვა სოფლებში აგენტებად: საქაშეთში—თ-დი მ. ნ. დიასამიძე, ს. ნიჩბისში—კნ. თ. ციციშვილის ასული, მეტეხში—ანნა და ბარბარე მაღალაშვილისა და მასწ. ბაბალოვი, სოფ. ტირძნისში—მასწ. გულისაშვილი და ა. გ. თარხნიშვილი. აგენტებს ამხანაგობამ დაავალა შეჰკრიბონ თავიანთ რაიონებში ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მეაბრეშუმეები არიან და რამდენი აბრეშუმის თესლია მათთვის საჭირო. ამხანაგობას საგნად აქვს ამ თავითვე გაავრცელოს თუთის ხეების მოშენება ქართლში, რისთვისაც სურს გამართოს სოფლებში თუთის ხის სანერგეები და მსურველებს უფასოდ დაურიგოს საჭირო ნერგები. წლის ფასად კრებამ დაადგინა გრადახდეს წევრებს 10 მანეთი. მეაბრეშუმეებს შეუძლიანთ გადიხადონ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც, ან ფულის მაგივრად შეიტანონ მეაბრეშუმეობის ნაწარმოები (პარკი ან აბრეშუმის ძაფი). კრებამ დაავალა ი. გ. ქუთათელაძეს ამხანაგობისთვის შესაფერის წესდების შედგენა.

— ალაგირი: ამას-წინად ჩვენ ვწერდით „ცნობის ფურცელში“ ალაგირის ქართულის სკოლის შესახებ, რომელიც ეს სამი წელიწადია დაარსდა აქაურ ქართველთა შორის და დღემდე ინახვენ მას ნაქირავებ სახლში. ეხლა ამ წერილშიაც ჩვენ გვსურს მივაქციოთ ქართველ საზოგადოების ყურადღება ერთს საყურადღებო საქმეს. ხსენებულს სკოლაში დღეს მოწაფეთა რიცხვი საკმაოა, მაგრამ რა გამოვიდა. ისწავლიან წერა-კითხვას და როცა გავლენ სკოლიდგან, თუ სადმე მიაბარეს სასწავლებელში ხომ კარგი, თორემ წერა-კითხვას თანდათან ივიწყებენ. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ არა აქვთ გონების სავარჯიშო წიგნები და მოპოვებაც ძნელია, რადგან ქალაქი შორს არის ამ სოფლიდგან და სრულიად მოწყვეტილია იგი საქართველოდგან. აქ-კი გვაქვს ერთად-ერთი ქართული სკოლა. წიგნთ-საცავის ხსენებაც არ არის აქ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ალაგირელ რუსის ინტელიგენციის მიერ ეხლახან დაარსებულს სამკითხველოს, სადაც აქაურს ქართველებს წიგნებით სარგებლობა არ შეუძლიან, ჯერ იმისთვის, რომ აქვთ გამოწერილი მხოლოდ რუსული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები და მეორეც, მკითხველთაგან დიდ ფასებს იღებენ და მდაბიო ხალხისთვის ხელ-მისაწვდენი არ არის. ჩვენს სკოლასთან არსებობს წიგნთ-საცავი, მაგრამ ის მეტად ღარიბია. გარდა ძველის ჟურნალ-გაზეთებისა და რამდენიმე წიგნაკისა, არა მოგვეპოება-რა.

ხალხი ჯერ იმდენად არ განვითარებულა, რომ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების შეძენა არსებით საგნად გარდაჰქცეოდეს. ამისათვის ვისაც ჩამორჩენილ ალაგირელ ქართველების, ამ მდაბიო და სამშობლოდგან გარდმოხვეწილ ხალხისთვის გული შესტკივა და მათი მომავალი აინტერესებს, ვთხოვთ, ვისაც მათგანს სახლში მეტი წიგნი მოეპოვება, მოგვაწოდონ შემდეგის ადრესით: Алагиръ, Въ Грузинскую школу, учителю Павлу Ломтатидзе.

—

## იმერეთის ამბები:

— ს. მათხოჯი (ქუთაისის მაზრა): აქაურნი თითქმის ყველანი მიწის მუშები არიან, თუმცა ბევრს მათგანს მიწა საკმაოდ არა აქვს. ამიტომაც იძულებულნი არიან სადმე სხვაგან იზრუნონ საზრდოსათვის, უმეტესადკი ქალაქებში მიდიან. რამდენისამე წლის წინად აქ კარგი ღვინო დგებოდა, მაგრამ ეხლა, გარდა ერთის კუთხისა, თითქმის ცვარიც არ მოდის, ისე გაანადგურა ვენახები ფილოქსერამ. სამწუხაროდ ჩვენსა და მიდამო სოფლებში ჯერ კიდევ არ მიუყვიათ ხელი ვენახის ამერიკულ ვაზებზე დამყნისათვის. ბ-ნ ლ. ჩიმაკაძეს ამას წინად საუბარი ჰქონდა ხალხთან მიწის სამუშაოდ გაუმჯობესებულ იარაღის მოპოვების თაობაზე. ყველას მოეწონა აზრი ევროპიულ იარაღების შეძენისა. ეხლა ბოსტან-ყანების თესვა მოახლოვებულია და დროც ახლა არის ეს ჩინებული სურვილი საქმედ აქციონ.

— «Русскія Вѣдомости»-ს სოჭიდგან სწერენ: „აქ ვორონეჟიდგან ამ ორის კვირის წინად ჩამოვიდა ათი რუსის გლეხის ოჯახობა დასასახლებლად იმ სახასო მიწებზე, რომლებიც რუსთა გადმოსასახლებლადაა დანიშნული. ახალ-მოსულებმა დიდის გულმოდგინებით დაათვალიერეს რამდენიმე ადგილი გაიცნეს აქაურის ნიადაგისა, ჰავისა და მიწის შემუშავების ვითარება და წავიდნენ აქედგან. მათის აზრით, აქ მხოლოდ სიმინდის მოყვანა შეიძლება და არა პურისა“...

## შეცდომის გასწორება:

ახალ ამბებში, № 58,1 გვერდზე, მე 3 სვეტზე, ქვემოდგან მე 29 სტრიქონში დაბეჭდილია: „დუშეთის მაზრა“; უნდა იყოს „გორის მაზრა“.

## ჩვენის ჟურნალ-გაზეთების სოფლელ ხელის-მომწერთა გაჭირვებული მდგომარეობა.

მადლობა ღმერთს, ჩვენ უკვე მოვესწარით იმ სანუგეშო დროს, როდესაც ჩვენს დედა ენაზე რამდენიმე დრო-გამოშვებითი გამოცემა გვაქვს. მადლობა ღმერთს, თუ ამ რამოდენიმე წლის წინათ ადამიანის ნიჭისა და გონების მასაზრდოებელ და განმავითარებელ ჟურნალ-გაზეთებს, დიოგენის ლამპრითაც რომ გვეძებნა ვერ ვიპოვიდით, ეხლა აღარც დიოგენი გვჭირდება და აღარც მისი მაშხალა. თუ ამ ოც-და-ათ თხუთმეტის წლის წინათ ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეთა რიცხვი მცირე იყო, დღეს მათი რიცხვი ერთი ათად გამრავლებულა. თუ ჩვენი ჟურნალ-გაზეთის დაარსების პირველ ხანებში თანამშრომლების სიცოტავის გამო რედაქტორები იძულებულნი იყვნენ გაეორ-სამკეცებინათ თავიანთი შრომა და მთელი ნომრის მასალა თვითონ დაეწერათ, დღეს ეს მძიმე ჯაფის უღელი, საკმაოდ თუ არა, შესამჩნევად მაინც შემსუბუქებული აქვთ ჩვენის პრესსის მეთაურ მოღვაწეებს.

მართალია, ისიც უნდა აღვიაროთ, რომ ამ გამრავლებულ კალმოსნებთა შორის ურევია ზოგიერთი ისეთებიც, რომლებთაც მარგალიტის მაგიერ თაღლითი, იფქლის მაგიერ ღვარძლი შეაქვს ჩვენის ერის სალიტერატურო სალაროში; მაგრამ ასეთი მოღვაწენი რომ ანგარიშში არ მივიღოთ, ზეგარდმო მადლიანის ნიჭით დაჯილდოებულნი მარგალიტის შემტანი, ძველი და ახალი მწერლები მაინც იმდენი გვრჩება, რომ ჩვენს პრესას შეუძლია ჩვენის ხალხის აზრითა და გონებით ზრდა, განვითარება და ამისათვის საჭირო საზრდოს მიწოდება.

დიახ, გვყავს ისეთი მწერლები, რომელთა ნიჭისა და ჭკუის ნაწარმოებთა კითხვა და შეგნება დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და გამოიყვანს მას გონებრივის სიბნელისაგან, მაგრამ... ეხლა განვიხილოთ ისიც ჟურნალ გაზეთების და მის მოღვაწეების გამრავლების შესაფერად იმატა მკითხველთა რიცხვმა თუ არა? რამდენად სარგებლობს ჩვენი ხალხი თავის მწერლების გონების ნაწარმოებით, ეროვნულის პრესით? სამწუხაროდ, აქკი სანუგეშოს ბევრს ვერას ვხედავთ ჩვენს დაბა-სოფლებში. მართალია, წინანდელზე შედარებით ცოტათი იმატა ჟურნალ-გაზეთის მოთხოვნილებამ და მათის მკითხველის რიცხვმა, მაგრამ ეს მომატება რა სათქმელია; ანგარიშში მისაღები არცკია, როდესაც მხედველობაში მივიღებთ ჩვენ ქართველების რაოდენობას. უმეტესი ნაწილი ჩვენის ხალხისა, ე. ი. გლეხ-კაცობა რომ არ კიანგარიშოთ, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან და, რასაკვირველია, არც ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელობა და საჭიროება აქვთ შეგნებული,—წერა-კითხვის მცოდნეთა შორისაც ათასში ერთი არ მოდის კიდევ ჟურნალ-გაზეთის ხელის-მომწერი და მკითხველი!

მაგრამ ამ ფრიად სამწუხარო საგანზე სჯა შემდეგისათვის გადამიდვია, და ეხლა ორიოდე სიტყვა იმაზე მინდა მოგახსენოთ, თუ რა მდგომარეობაშია ის თითო-ოროლა სოფლელი ხელის-მომწერი ჩვენის პრესის, რომელთაც ჟურნალ-გაზეთის კითხვა აუცილებელ საჭიროებად მიუჩნევიათ.—თქვენს მტერს გაუჭირდეს ყველაფერში ისე, როგორც ამათ ჟურნალ-გაზეთის მიღება უჭირთ!..

ნათქვამია, გარდა სიკვდილისა, ყველაფერს ეშველება რამე, მაგრამ სოფლელ ხელის-მომწერმა რომ მის მიერ დაკვეთილი ჟურნალ-გაზეთი თავისს დროზე მიიღოს, ამას არა მოეხერხება-რა!.. ხშირად ერთი-ორი თვეც გადის, რომ სოფლელი მკითხველი ვერ ეღირსება გაზეთის ხილვას.

მაგალითად, აღვნიშნავ თვით ჩემს მდგომარეობას. უჟურნალ-გაზეთოდ ისე არ შემიძლია გაძლება, როგორც უჰაეროთ; ამისათვის ვიწერ სამს თუ ოთხს გამოცემას, მაგრამ რა უნდა მარგოს გამოწერამ, თუ-კი მიღებას ვერ ვღირსებვი?!! ჩემი ჟურნალ-გაზეთები ქუთაისიდამ იგზავნება ონში, რომელიც შორავს საცხოვრებელს ადგილს სოფ. ტოლს თამოც და ორის ვერსით. თუ კერძო კაცი არ გავგზავნე, ან რომელიმე ჩემს ნაცნობს, ონში მცხოვრებს, არ დავავალე მათი მიღება, მთელი თვეობით უნდა ეწყოს ონის ფოსტაში. კვირაში ორჯელ ონში კაცის გაგზავნა, რომელიც მისვლა-მოსვლას 168 ვერსს ანდომებს, იეფად არ ჯდება...

ეს გარემოება მით უფრო დამაღონებელია ჩემთვის, რომ სულ ადვილი მოსახერხებელია ამ გაჭირვების თავიდამ აშორება და ვერ აგიშორებია-კი. ქუთაისიდგან ონში მიმავალი ფოსტა კვირაში ორჯელ, ხუთშაბათობით და კვირაობით, გამოივლის ტოლის სტანციაზე, რომელიც ძალიან ახლოა ჩემს ბინაზე, მაგრამ აქ არ სტოვებს ჩემს ჟურნალ-გაზეთებს ფოსტალიონი, არამედ მიაქვს პირდაპირ ონში!! თუმცა რედაქციებიდგან აღნიშნულ სტანციაზე მეგზავნება ჟურნალ-გაზეთები. ბევრად თუ ცოტად ჩემსავე მდგომარეობაში არის ის მცირე რიცხვი რაჭველ და ლეჩხუმელ ხელის-მომწერლებისა, რომლებსაც ონში, ან ცაგერში არ არგუნათ ბედმა ცხოვრება.

ეს გარემოება ძალიან აბრკოლებს ჩვენს სოფლებში ჟურნალ-გაზეთების ხელის-მომწერთა და მკითხველთა გამრავლებას და ეს გარემოება ღირსია ყურადღების მიქცევისა. ძალიან კეთილ საქმეს ჩაიდენს ქუთაისის ფოსტის მმართველობა, თუ დაბა ონში მიმავალ ფოსტალიონს მოვალეობად დაუდგენს, რომ ჩემი ჟურნალ-გაზეთები ტოლის სტანციაზე დამიტოვოს, სადაც ყოველთვის ჩემი სანდო კაცი დახვდება და მიიღებს...

ქაიხოსრო გელოვანი.

## წერილი ქუთაისიდგან.

საკვირაო სკოლა.—საუბრები.—სახალხო წარმოდგენები.

ამ ბოლოს დროს ხალხის გულშემატკივრობას ქუთათურ ასაღგაზდობის ინტელიგენციამაც მოჰკიდა ხელი და ჰსურს ამ საქმეს ფართო ნიადაგი შეუმზადოს. ისტორია ამგვარ მოღვაწეობისა არც მაგრე დიდის ხნისაა. პირველი ნაბიჯი—საკვირაო სკოლაში მუშაობა—სულ ათი წელიწადია, რაც გადადგმულ იქმნა, ხოლო რამდენად ინტენსიური ყოფილა აქ შრომა,—ამას ამ ახლო მომავალში სკოლის ათის წლის ანგარიშიდან დავინახავთ. ამ ხანად-კი ამ მოღვაწეობის მიმდინარე საქმეებს მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას.

საკვირაო სკოლის მოღვაწეთა 5 მარტის კრებაზე, სხვათა შორის, ორი საყურადღებო საგანი იყო გასაბჭობი: 1) ქართულის ენის სწავლების პროგრამა და მეორეც საუბრების გამართვა. ერთიც და მეორეც საჭირო საგნებია აღნიშნულ სკოლაში, სადაც ნამდვილ, სისტემატიურ სწავლებას, გარდა შინაურისა, ბევრნაირი გარეშე მიზეზებიც ეღობება წინ. ამიტომ მისი მასწავლებლები კარგად გამოცდილნი და სწავლის გადაცემის უნარით უნდა იყვნენ აღჭურვილნი, რომ, ცოდნის მხრივ მეტად აფერადებულმა, მათმა აუდიტორიამ იმ ცოტა ხანში, რაც მათ ხელთა აქვთ, შეიგნოს ოსტატის ყოველივე გადანაცემი.

აი, ამიტომაც ამ საქმეში ყოველ გზად გამგელს ვერ მოუწოდებთ და ვერ ვეტყვით: აიღე ხელში ესა და ეს სახელმძღვანელო და იმეცადინე ამა თუ იმ განყოფილებაშიო. განსაკუთრებით მოუხერხებელია ამგვარი მოწვევა უფროსების სასწავლე-

# ფელეტონი

## გლეხების საუბარი.

(იგავ-არაკი)

„გამარჯობა, ივანე!“—
—გაგიმარჯოს, გოგილო!
როგორა ხარ, რასა იქ,
ხომ კარგად ხარ, ძმობილო?
—„მე რომ ვარ, იმისთანა
შენს მტერსა და ორგულსა!..
ლამის თავი მოვიკლა
და შემოვასქდე გულსა“.
—რათა? რა დაგემართა,
შე კაცო, მაგისთანა?
„რაი, და—გამიყარა
ბედმა შიგ ყელში დანა,—
გადამეწვა სახლ-კარი!
აღარ დამრჩა ნამშრალი,
ჭირნახულიც თან გაჰყვა,
დავრჩი ხახა გამშრალი;
სამოწყალოდ დარჩენილს,
დამეკარგა იმედი.
ა, ღმერთმა დასწყევლოს
ჩემი ოხერი ბედი!
რეულს საკაიდღეოდ
ეპატიჟე სტუმრები,
ბურს ჩვეულებას
[illegible]
[illegible]
[illegible]
საკლავები დავსწყვიტე,
ქვევრებს ვუნახე ძირი,
მოყვარეს მოვულხინე,
თვალი დავუყენე მტერს:
ვქეიფობდით, ვმღეროდით
მაღალ „მრავალ-ჟამიერს“.
შეზარხოშდნენ სტუმრები,
მეც მიწია ნუნუამ,
ვიძახოდი: „სულ დავსცლი,
რაც ქვევრი მაქვს, ამაღამ!“
წავბარბაცდი მარანში
ღვინის ამოსატანად,
ჟინჟილილს მივაქანებდი
უშიშრად ლოთიანად;
თურმე გავარდნილიყო
ნაპერწკალი იმავ დროს,
ეშმაკის შენაბერი
მოსდებოდა ფუტუროს!—
ჩვენ რაღას გავიგებდით,
სანამ არ აბდღიალდა,
თავი ძლივს დავახწიეთ,
მეტიც აღარ დაგვცალდა“.
ივანემ სთქვა:—„ეჰ, ბედმა
აღარც მე გამიტანა
და შიგ გულში გამირჭო
მეც სასიკვდილო დანა.
მეც შარშან დღეობაში,
ჯერზე რომ მოვილხინე
და დამთვრალი სტუმრები
სუყველა დავაძინე,
გავიფიქრე: მძინარებს
რაღათ უნდათ სინათლე?
ცეცხლი მივაქვრ-მოვაქვრე
და ხელად დავაბნელე;
მერე კარში გავედი,
ეზოში გასავლელად,
გზა ზეპირად ვიცოდი,
არ მქონდა საქველად...
მაგრამ, დახეთ ეშმაკსა,
თურმე მიქცია მხარი,
გადავვარდი კიბეზე,
მუხლი ქვაზე დავჰკარი...
როგორც იქმნა გადავრჩი
სიკვდილს, მაგრამ მაინც რა?
ბედმა ისე ამწირა,
რომ მთლად დამასაპყარა!“
ამ დროს იმათ აქავე
გვერდში უდგათ სისონა;
მომჩივრების ყბედობა
არაფრათ მოეწონა
და უთხრა: „ეგეები,
განა, ბედის ბრალია?
მარცხი ყველგან თან დასდევს,
კაცი როცა მთვრალია.
ღვინოა, რომ დაუბნევს
ყველას გზასა და კვალსა,
დაუბნელებს თვალის ჩინს,
გააპრუებს დამთვრალსა.
და მაშინ [illegible] ერთია
მისთვის დღე, თუ ღამე,
[illegible]
და თქვენც ბედს რას აბრალებთ
თქვენს მარცხს ჩემო ძმაო?..“

აკაკი.

## რუსთა შორის

სახელმწიფო საგლეხო სადგილ-მამულო ბანკი.

გლეხების ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებისათვის არა ჰკმაროდა მარტო იურიდიულად მათი განთავისუფლება. საჭირო იყო, რომ გლეხებს შესძლებოდათ მებატონეებისაგან იმ მამულების („ნადელების“) გამოსყიდვაც, რაც ხელში ეჭირათ; და რა-კი მათ საკუთარი სალარი არ მოეპოვებოდათ, მთავრობა იძულებული შეიქმნა დახმარება აღმოეჩინა და გაეხსნა მათთვის ეგრედ წოდებული გამოსასყიდავი კრედიტი. ეს კრედიტი განსაკუთრებულის ხასიათისა იყო: თუ გლეხი ვერ გადაიხდიდა აღებულს სესხს, გაუყიდდნენ ყოველსავე ქონებას (არა მარტო იმას, რომლისათვისაც სესხი აიღო) და თუ ეს საკმარისი არ იქნებოდა, გლეხს სამუშაოზედ გზავნიდნენ, რომ ამით ვალი გაესტუმრებინა. მეორე თვისება ამ კრედიტისა იყო მისი სპეციალური დანიშნულება—„ნადელების“ გამოსყიდვაში დახმარება.

საზოგადო ხასიათის საგლეხო კრედიტის შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდა პირველად მე-70 წლებში. ასეთის კრედიტის საგანი უნდა [illegible] არა მარტო მიწების გამოსყიდვა, [illegible] საზოგადოდ გლეხთა მიწის მფლობელობის გაფართოვება. ყველა ერობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს. პირველად ტვერის საგუბერნიო ერობამ გაუხსნა გლეხებს ასეთი კრედიტი და 1876 წელს გასცა მათთვის 12 ათას. მანეთამდე სესხი და 1881 წლის 1 დეკემბრამდე ჰქონდა გაცემული გლეხთათვის სულ 42 ათ. მან. ერობა აძლევდა სესხს შემდეგის პირობით: 1) მიწის მყიდველი უნდა ყოფილიყო ან სოფლის საზოგადოება ან გლეხთა ჯგუფი, ამხანაგობა; 2) სესხად აძლევდა მიწის ფასის ნახევარს; 3) სესხი უნდა გადაეხადნათ გლეხებს ნაწილ-ნაწილ 3—4 წლის განმავლობაში. შემდეგ ერობა კერძოდ ცალკე კაცებსაც აძლევდა სესხს მხოლოდ იმ შემთხვევაში-კი, თუ მიწა პატარა ნაჭერი იყო, რომლის დამუშავებას შეიძლებდნენ მარტო მყიდველ ოჯახის წევრნი და თუ ამ მიწის ყიდვა არ უნდოდა სოფლის საზოგადოებას.

ტვერის მაგალითს წაჰბაძეს სხვა ერობათაც. 1880 წელს ნოვგოროდის ერობის კრებამ დაადგინა: მიეცეს სესხი ადგილ-მამულის სასყიდლად, როგორც საზოგადოებას, ისე კერძო კაცს, ამასთან თითო სესხი არ უნდა აღემატოს 300 მანეთს, ცალკე კაცს მიეცეს მიწის ფასის 80% და საზოგადოებას—90%-მდე. სესხი გადახდილ უნდა იქმნას 1—12 წლ. განმავლობაში.

1879 წელს იაროსლავლის ერობის საგუბერნიო კრებაზედ ჩამოვარდა ბჭობა საგლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლად, მათთან სასაუბროდ. აქ დასტაკებული, გამოცდილი ბაასია საჭირო, რომ მსმენელთა გონება აამოძრაოთ, დააინტერესოთ და გამოიწვიოთ მათ შორის საკუთარის მსჯელობის უნარი. უმცროს განყოფილებაში მეცადინეობა-კი არც მაგრე ძნელია, თუმცა დაკვირვება, მოსწავლეთა ხასიათის გაგება, ლმობიერი მოპყრობა აქაც არა ნაკლებ საჭიროა.

აი, ამიტომ ჩვენ სრულიად სამართლიანად მივიჩნიეთ (წინააღმდეგ ზოგიერთებისა, რომლებიც, რაკი მასწავლებლები არიან თავიანთ თავს შეუცდომლად ჰრაცხენ) 5 მარტის კრებაზე ქართულ ენის და საუბრების კარგად მოწყობის გამო დაწვრილებით მოლაპარაკება. აქაო-და ქართველი ვარ, ქართულის ენის სწავლება როგორ არ შემიძლიაო, რომ დავიჩემოთ, ან კიდევ—მასწავლებელი ვარ და საუბარს როგორ ვერ გავუმართავ მოსწავლეებსაო,—ეს ერთგვარი ახირებულობა იქნება. როგორც ერთმა დამსწრეთაგანმა განაცხადა, ასეთის პრეტენზიის უსაფუძვლობას გამოცდილებაც გვიმტკიცებსო, არა მარტო საკვირაო სკოლისა, სხვაგან სწავლებისაც და, თუ გნებავთ, ცხოვრება-ლიტერატურისაც, ვიტყვით ჩვენის მხრივ. ამიტომ საჭიროა აქ საკვირაო სკოლაში მაინც მიექცეს ამ საგნებს ყურადღება, შემუშავდეს შესაფერი პროგრამა და შესაფერისადვე იქმნეს შესრულებული. კრებამ მიანდო უკვე არსებულ პროგრამის გადათვალიერება და შემუშავება რამდენსამე კაცს.

მეორე საყურადღებო საკითხი საკვირაო სკოლისა არის საუბრების გამართვა, რომელიც დიდად ნაყოფიერი და სარგებლობის მომტანია საკვირაო სკოლის მოსწავლეთათვის. მაგრამ, აქ გარდა გარეშე გარემოებათა, ქართველ სახალხო მოღვაწეებს ის გარემოებაც წინ ეღობებათ, რომ ქართულ ენაზე, არა თუ სამეცნიერო სახალხო ლიტერატურა არ არსებობს, ჩვენს ქართულის მცოდნეებს ტერმინებიც ვერ შეუმუშავებიათ საერთო სასაუბრო ენისა. ეს გარემოება ძალიან აფერხებს ხალხში სამეცნიერო ცოდნის გავრცელების საქმეს და მისთვის მზრუნველს,—თითო ოროლა კერძო კაცს გარდა, კოლექტიურად მომქმედს ვერავის ვხედავთ. წიგნების გამომცემელნი ჩვენებური ამხანაგობანი ზოგი რას გაუტაცია და ზოგი რას! ამისთანა არა მომგებიანი საქმე-კი მათ ნაკლებად აფიქრებს.

ქუთაისურ სახალხო მოღვაწეთ, ეტყობა, ამ საქმის გათვალისწინება და კარგად მოწყობა აქვთ განზრახული. საუბრებისათვის მიუცილებელი იარაღი—ჯადო-ფარანი—უკვე შეუძენიათ და, უეჭველია, თუ ქალაქის გამგეობამ წრევანდელ ხარჯთაღრიცხვით დაპირებული 600 მან. გაიღო სკოლისათვის, საქმე საკმაოდ გაიჩარხება. უეჭველია, ქუთაისში, ამ „ინტელიგენტთა ბუდეში“, მოსაუბრენიც გამოჩნდებიან და საუბრებს ჩვეულებრივ ჩვენებურ ზოზინით საქმის წარმოების სახე არ მიეცემა...

მეორე ნაირ ნიადაგზე სახალხო მოღვაწენიც არ რჩებიან უკან პირველთ თავიანთ მოქმედებით. ესენი სცენის თეატრში იაფ-ფასიან წარმოდგენების საშუალებით აცნობიერებენ ხალხს. 6 მარტის კრებაზე იმათაც გაგვაცნეს წრევანდელ სეზონში თავიანთი ნამოქმედარი, რომელსაც ჯერ დამთავრებული ხასიათი არა აქვს. ამ საგანზედ ბაასი შემდეგისთვის იყოს.

სასურველია მხოლოდ, როგორც განაცხადა კრების თავმჯდომარემ გრიგოლ გველესიანმა, რომ ამ საქმის ყოველივე წვრილმანი, რასაც იმის სამერმისო დახასიათებისათვის ექნება მნიშვნელობა, აღნიშნულ და შეტანილ იყოს ამ საქმის წარმოების საბუთებში. კარგი იქნება თითოეული ჯგუფი, გარდა ანგარიშის მშრალის ციფრებისა, საქმეს მიაკერებდნენ თითოეულ წარმოდგენის გამო რა შრომა გასწიეს, რა შთაბეჭდილება მიიღეს მოთავეთ ან დამსწრეთ და როგორ დაგვირგვინდა მათი ნაშრომი. ეს-კი საქმის ახლანდელ წარმოებასაც გააჯანსაღებს და მერმის სახალხო საქმეების მეისტორიესაც უხვ მასალას მისცემს უანგარო მუშაკთა ნამოქმედარის დასახასიათებლად. დრო, უთუოდ, ჩვენებურ საქმეს შენ-ჩემობაზე დამყარებული ხასიათი ჩამოეცალოს.

ისო.

## ნარკვევი.

როგორც ვიცით, ამას წინად საფრანგეთმა და მასთან მთელმა ქვეყნიერობამ იდღესასწაულა ვ. ჰუგოს დაბადების ასის წლის თავი. ამის გამო ჟურნალს ,,ვესტნ. ევრ.'' მოჰყავს ერთის მწერლის ლებერტონის აზრი ჰუგოს ,,საბრალოთა'' და ლ. ტოლსტოის ,,აღდგომის'' შესახებ.

განა, ვიპოვნით ტოლსტოის „აღდგომაში“ ისეთს რასმე, რაც არ იყოს „საბრალოებში“. დაცემული, მაგრამ კვლავ ამდგარი არსება, ლატაკები, ტუსაღები, ქუჩის ქალები, საზოგადოებრივ ცხოვრების მსხვერპლნი, ყოველივე ეს შეერთებულია საუცხოვო სურათად; გულქვა ბურჟუა, ქარაფშუტა მსაჯულები, სცენები გოსპიტალებში, სატუსაღოებში, კატორღაში—და ყველა ამას ზედ დასტრიალებს ძლიერი ძმური სიყვარული და შებრალება! ესაა შინაარსი ორისავე რომანისა, ერთის სათაური სრულიად შესაფერისია მეორესათვის.

მაგრამ ასეთი მზგავსება სრულებით არაფერს ამბობს ერთის თუ მეორის ღირსების შესახებ. თვითონ ტოლსტოიმ თავისს წერილში ,,რა არის ხელოვნება'' აღიარა ,,საბრალონი“ უმაღლეს ნაწარმოებად ადამიანისადმი იმ ღრმა სიყვარულისათვის, რომლითაც არის გამსჭვალული ეს თხზულება დიდებულის ვიქტორ ჰუგოსი.

## რუსეთი

ოდესის გრადონაჩალნიკის უწყებებში გამოქვეყნებულია ახალი სავალდებულო წესები ქუჩებსა და საზოგადო ადგილებში კრებათა და ყრილობათა წინააღმდეგ, ნაცვლად 1884 წ. 21 იანვარს გამოცემულის წესებისა.

— ელისავეტგრადში ოდესის პალატამ ამას წინად გაარჩია მეტად საყურადღებო საქმე გლეხ-კაცების შესახებ, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობას: 21 მაისს წარსულს წელს ს. ტიშკოვკის შტუნდისტები, თანახმად მთავრობისაგან მიღებულ ნებართვისა, საქრისტეანო სასაფლაოზე ასაფლავებდნენ ერთს თავიანთს თანამორწმუნეს მუცეტას, მაგრამ მათ აქ დახვდათ გლეხთა ბრბო და არ დაანება დასაფლავება. სამჯერ ამოთხრილი სასაფლაო სამჯერვე მიწით აავსეს გლეხებმა. საქმეში ადმინისტრაცია ჩაერია, მაგრამ ვერაფერს გახდა და მუცეტა დასაფლავებულ იქმნა სოფლის გარეშე, მინდორში. ამ საქმის გამო სასამართლოში იქმნა მიცემული 14 გლეხ-კაცი, 1 გლეხის ქალი და 1 აზნაური, რომელიც, როგორც თვითონ განაცხადა, შემთხვევით გაერია საქმეში. საქმე გაირჩა ხალხის დაუსწრებლად. ერთი ბრალდებული გაამართლეს, სხვებს მიუსაჯეს დაპატიმრება 1—8 თვემდის.

## უცხოეთი

**ინგლისი.** 7 მარტის სხდომა საზოგადოებათა პალატაში მეტად ცხარე და არა ჩვეულებრივი იყო. ამ დღეს მოუხდათ შეტაკება ირლანდიელს დილლონს და ჩემბერლენს. კამათი სამხრეთ-აფრიკაზედ იყო. ლაპარაკი ჩამოაგდო ლიბერალთა მეთაურმა კემპბელ-ბანნერმა. ლიბერალთა ლიდერი ჯერ შეეკითხა მთავრობას სამხრეთ-აფრიკის ზოგიერთ საქმეების გამო, შემდეგ ბანერმანმა გაჰკიცხა მთავრობა, რომელიც კრიტიკას ველარ ითმენს და უბრალო შენიშვნისათვის პირად შეურაცხყოფას აყენებს კრიტიკოსებს. ხშირად მინისტრები, სთქვა ბანნერმანმა, პატრიოტიზმით სარგებლობენ და თავიანთ მოწინააღმდეგეთ ღალატსა და ათას რამესა სწამებენ. ამას წინად ბალფურმა ბუროფილი მიწოდა და სამშობლოს ღალატი შემწამაო. „ყოველივე ეს ბოროტი ცილის-წამებაა, დასობრივ ინტერესების დასაცველადაო“. ბანნერმანს პასუხი გასცა ჩემბერლენმა, რომელიც ჩვეულებრივის სიამაყითა და რიხით ლაპარაკობდა. ახალშენთა მინისტრმა სთქვა, თუ სადმე ცილის-წამებაა, იგი პალატის მეორე მხარეს უნდა ვეძებოთ, სადაც ლიდერი არც ერთ მარჯვე შემთხვევას არ უშვებს, რომ ცილი არ დასწამოს თავის მემამულეებს, ინგლისის ჯარსა და მთავრობასაო. ბანნერმანი სწუხს, როდესაც ბუროფილს ვეძახით, მაგრამ ჩვენი რა ბრალია, თუ-კი თვითონ ასეთია. რაც შეეხება იმ ჰორს, რომ მთავრობა მალავს საქმის ნამდვილ ვითარებას, ჰორის გარდა ეს ბოროტი ცილის-წამებაცააო. თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ასეთ სიტყვებს პარლამენტში არა ხმარობენ. ჩემბერლენმა თავისი სიტყვები უკანვე წაიღო. ასევე მოიქცა ბანნერმანი, რომელმაც პირველად იხმარა ,,ბოროტი ცილის-წამება''. შემდეგ ახალშენთა მინისტრმა სამხრეთ-აფრიკის საქმეების შესახებ ილაპარაკა. ჩვენი საქმე ძალიან კარგად მიდისო, სთქვა იმან; ჩვენ ჯართან ერთად უკვე 3—4 ათასი ბურგერი იბრძვის ბურების წინააღმდეგაო. სხვათა შორის, ჩემბერლენმა მოიხსენია წერილი ბურთა გენერალის ვილლონჟელისა (ეს გენერალი ეხლა ინგლისელთა მზვერავ კორპუსის უფროსია), რომელმაც დევეტსა და ბოტას მისწერა, მტრები ხართ სამშობლოსი, რადგანაც უნაყოფო ბრძოლას განაგრძობთო. დილლონმა დაიძახა, „ვილლონჟელი მოღალატეაო“. —სულაც არა, სთქვა ჩემბერლენმა; პატივცემული ჯენტლმენი (ე. ი. დილლონი) თვითაა დიდად გამოცდილი ღალატის საქმეშიო. ამ სიტყვებს „პატრიოტნი“ დიდის სიხარულითა და ტაშის ცემით მიეგებნენ. როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, დილლონმა ჰკითხა თავმჯდომარეს, განა, შეიძლება პარლამენტში ისეთის სიტყვების თქმა, როგორიც ჩემბერლენმა სთქვაო? თავმჯდომარემ საქმე მიჰკიბმოჰკიბა: „ თვით თქვენ, უთხრა მან, მოღალატეები უწოდეთ ჩვენს ჯარის-კაცებს; მე ერთნაირადა ვკიცხავ როგორც თქვენს სიტყვებს, ისე იმათ გამო თქმულს პასუხსაო“. მაშინ აღელვებულმა დილლონმა სთქვა: „მე მსურს მოგახსენოთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, რომ პატივცემული ჯენტლმენი (ჩემბერლენი) საზიზღარი მატყუარაა“. ამ სიტყვებმა ერთი ალიაქოთი ასტეხა პალატაში. ირლანდიელებმა მაინც თავიანთ ჩვეულებას არ უღალატეს და ტაშის ცემით დააჯილდოვეს დილლონი. თავმჯდომარემ უთხრა, თქვენი სიტყვები უკანვე წაიღეთო, მაგრამ დილლონმა უარი განაცხადა. შემდეგ ბალფურის წინადადებით პალატამ 248 ხმით 48 ხმის წინააღმდეგ დაადგინა განდევნოს დილლონი სხდომიდგან. უმცირესობას ირლანდიელნი და მხოლოდ 8 ლიბერალი შეადგენდა. ოპოზიციის მეთაურთ ბანნერმანმა, გარკორტმა, ფოულერმა, ასკიტმა, ჰერბერტ გლადსტონმა და სხვათ მხარი დაუჭირეს ამ საქმეში ჩემბერლენს.

**საფრანგეთი.** ამ დღეებში მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს სოციალ-დემოკრატს მილიერანს ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს. „მე ხშირად ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს, უთქვამს ნიჭიერ მინისტრს, შეიძლება თუ არა, კერძო ინიციატივისა ან კანონმდებლობის წყალობით ამა თუ იმ სავაჭრო საქმის მოგების მონაწილენი გახდნენ ისინი, ვინც სავაჭრო საქმის პატრონის თანამშრომელნი არიან. ამ გზით შეიძლება თავიდგან აცილება იმ გაფიცვისა, რომელსაც შედეგად უბედურება მოსდევს, როგორც მუშათა, ისე პატრონთათვის. დიდად საჭიროა, რომ პატრონნი და მუშანი მიეჩვივნენ ერთად იმ საქმეებისა და კითხვების განსჯა-განხილვას, რომელთა შესახებაც კანონი არაფერს გვეუბნება. დარწმუნებული ვარ, ასეთის საშუალებით შეიძლება პატრონთა და მუშათა შეთანხმება. აი, ამიტომ ვცდილობ და ვურჩევ მუშებს პროფესიონალურ ორგანიზაციათა გამრავლებას. ყოველთვის ვეუბნები მუშებს: შეადგინეთ სინდიკატები, გაერთიანდით და შემდეგ პატრონებთან ერთად შეუდექით თქვენის ინტერესების განხილვას“.

**ავსტრ-უნგრეთი.** ავსტრიის პარლამენტში უწინდელი ამბები დაიწყო. დეპუტატები ხელახლა ართობენ შეკრებილთ მუშტის კრივითა და ლანძღვა-გინებით. ცილლში არსებულ სლოვენთა გიმნაზიის გამო კამათის დროს, როდესაც გერმანელები დამარცხდნენ, გაბრაზებულმა გერმანელებმა ერთი ალიაქოთი ასტეხეს. დეპუტატი ბერგერი გასაღებით პირში ძალზედ უსტვენდა. ზოგი ჰყვიროდა: ,,გაუმარჯოს გერმანიის იმპერატორს! იმათ მეფობის ქვეშ უფრო კარგა ვიცხოვრებთო!'' ცნობილმა ვოლფმაც მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში. როგორც ვუწყით, ვოლფმა თავის უზნეო ყოფა-ქცევით ერთი ალიაქოთი ასტეხა ამას წინად მთელს გერმანიაში. იგი თავის მეგობრის ზეიდელის ცოლსა ჰყვარობდა, რის გამო დუელიც ჰქონდა ზეიდელთან. აი, ეს ამბავი მოაგონეს ვოლფს პალატაში ამ საერთო არეულობის დროს. ერთმა დეპუტატმა დაუძახა: ,,არიქა, ვოლფო, ზეიდელი მოდისო.'' გაცოფებულმა ვოლფმა მუშტები მოუღერა და დაუჭყივლა: ,,ამ საათში კბილებს ჩაგამტვრევო!'' სხვა დეპუტატებმა ძლივს გააშველეს წაჩხუბებულნი. ყველაზედ მეტად პანგერმანისტთა მეთაური შენერერი ცხარობდა. უნდა გერმანიას შევუერთდეთ, თორემ სლავიანები გაბატონებას გვიპირებენო, გაიძახოდა იგი. ჩეხები და სლავიანები გერმანელების საპასუხოდ იძახდნენ: ,,გაუმარჯოს ჰაბსბურგებს, გაუმარჯოს ავსტრიას!'' დიდი შეტაკება მოუხდათ აგრეთვე ჩეხს დიკსა და გერმანელს შტეინს, რომელიც ბოლოს ლანძღვაგინებად გადაიქცა. მეორე დღეს შტეინმა შოლტი მიიტანა პარლამენტში, მორიდან მოუქნია დიკს და დაუძახა, ამითი გცემო.

მოთმინება ჩეხებსაც დაეკარგათ. მლადოჩეხთა კლუბმა უკვე გადასცა მთავრობას განცხადება, რომელშიაც შემდეგი სწერია: ჩეხები დღემდე ნდობით ვექცეოდით მთავრობას, ვითმენდით ყველაფერს, მაგრამ ეხლა მოთმინებიდგან გამოვედით. მთავრობას უკანასკნელ ვადას ვუნიშნავთ ბიუჯეტის დასამტკიცებლად. თუ ამ ვადისთვის მთავრობა სიტყვიდგან საქმეზედ არ გადავა და არ დაამტკიცებს, რომ დაპირების შესრულება ჰსურს, ჩეხი დეპუტატნი ტაქტიკას შესცვლიან და სამხედრო მოქმედებას დაიწყებენ ისინი ყურადღებას არაფერს მიაქცევენ, რომ [illegible] რომელიც პარლამენტსა და კონსტიტუციას მოელის.

## წვრილი ამბები

დღევანდელ ოსმალურ ლიტერატურის შესახებ ევროპაში თითქმის არაფერი უწყის. ბევრს სწერენ გაზეთები და მოგზაურები სულთანისა და იმის მტარვალობის შესახებ, სომხეთა ჟლეტა-ხოცვისა, მუშისა, ალბანიისა, ჰარამხანების შესახებ, ხოლო ლიტერატურას სიტყვითაც არავინ იხსენიებს. ამიტომ დიდად საინტერესოა ერთ გერმანულ ჟურნალში მოთავსებული წერილი ოსმალთა ახალ ლიტერატურის შესახებ. 25 წლის წინად, ამბობს ავტორი, ოსმალურ ლიტერატურაში ახალმა ტენდენციებმა იჩინეს თავი, გაჩნდა მწერალთა ახალი სკოლა, რომელიც იმის გარდა, რომ მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, თავისის იდეალებით ძლიერ უახლოვდებოდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურას. განსაკუთრებით ბელეტრისტიკა ეღირსა ოსმალეთში წარმატებასა და განვითარებას. პირველი ადგილი ბელეტრისტთა შორის უჭირავს აჰმედ მიდჰატს, დიდათ შრომელსა და ნიჭიერს მწერალს.

ლიტერატურული მოღვაწეობა ამ მიდჰატმა ფრანსგულ სენსაციონურ რომანების გადაკეთებით დაიწყო. პირველშავე რომანმა „ჰასან ზღვაოსანმა“ დიდი სახელი გაუთქვა მწერალს: აჰმედმა ეს რომანი გადააკეთა დიუმას შესანიშნავ „გრაფ მონტე-კრისტოდგან.“ შემდეგ სხვა ფრანსგული რომანებიც გადააკეთა და ბოლოს ორიგინალურ მოთხრობებისა და რომანების წერასაც შეუდგა. შინაარსს თავისის რომანებისათვის მიდჰატი ყოველთვის ოსმალთა ცხოვრებიდგან იღებდა და იღებს. ასეთია, მაგალითად, იმისი რომანები: „მწიერი ანგელოზი“ და „პლატონ-ბეისა და ეფენდის თავგადასავალი“. ერთ რომანში, რომელსაც სახელად „დედა-შვილის საწყალობელნი“ ჰქვიან, ავტორმა აწერა შთაბეჭდილებანი ინგლისში პირველად მისულ ოსმალოსი. უფრო შესანიშნავია ამავე ავტორის „გასართობი მოთხრობები“, რომელშიაც მიდჰატს დიდის ნიჭით და რეალიზმით აწერილი აქვს თურმე თანამედროვე ოსმალთა ცხოვრება. ზემოხსენებულ წერილის ავტორი დიდად აქებს აგრეთვე სამ პატარა მოთხრობას: ,,ქორწინებას'', „ყოველთვის მშიერს“ და „სიჭაბუკეს“. იმის აზრით, ეს მოთხრობები ევროპის ლიტერატურასაც-კი დაამშვენებენ. ,,ქორწინებაში'' ავტორი ჰკიცხავს ჰარამხანის ცხოვრებას. საკვირველია, რომ მიდჰატის საწინააღმდეგოდ ჰარამხანის დამცველად გამოვიდა გერმანელი ქალი ელენე ოჰლანი, რომელმაც კარგა ხანია მაჰმადიანობა მიიღო და რომელიც ამ ჟამად ოსმალეთის ერთის წარჩინებულის [illegible] ცოლია. ბესლახმა დასწერა რომანი ჰარამხანისავე ცხოვრებიდგან. ამ რომანში ავტორი სულ სხვას ამბობს, ვიდრე მიდჰატი. ამავე ბესლახმა გადათარგმნა ოსმალურად შილლერის რამდენიმე დრამა.

აჰმედ-მიდჰატის შემდეგ, ავტორის აზრით, ოსმალთა ახალს ლიტერატურაში საპატიო ადგილი უჭირავს მუალიმ ნაჯის, რომლის მოთხრობათა კრებულიც, გერმანულად გადათარგმნილი, ამას წინად დაიბეჭდა. ნაჯი ლექსადა და პროზადა სწერს. ცნობილი, ოსმალეთში აგრეთვე სამი-ბეი, ავტორი ლექსიკოგრაფიულ შრომისა, რომელსაც ევროპაში სპეციალისტები ძალიან აფასებენ თურმე. ამავე სამი-ბეიმ დასწერა რომანი „ტალატას და ფინტას სიყვარული“. ეს

---

ხო კრედიტის შესახებ და თუმცა კრებამ არ ისურვა ამ საგნისათვის განსაკუთრებულის ბანკის დაარსება, მაგრამ აუცილებელ საჭიროებად სცნო დახმარება აღმოეჩინა გლეხებისათვის მიწების შესაძენად. სხვა ერობათ, თუმცა არაფერი გაუკეთებიათ თვით კრედიტის ორგანიზაციისათვის, მაგრამ ის აზრი გამოსთქვეს, რომ ერობა თავისს ძალ-ღონით ვერას გახდება და მთავრობამ უნდა დააარსოს საგლეხო კრედიტიო.

რათა ხელი შეეწყო ყოველ გლეხისათვის გასაყიდ მიწის შესაძენად, მთავრობამ 18 მაისს 1882 წ. დააარსა ეგრედ წოდებული სახელმწიფო საგლეხო საადგილ-მამულო ბანკი, რომელმაც მოქმედება დაიწყო 1883 წ. 10 აპრილს. პირველად საგლეხო ბანკის განყოფილებანი დაწესდა მხოლოდ 9 გუბერნიაში და შემდეგ-კი სხვაგანაც. თითო გუბერნიისათვის არსდება თითო ბანკი ან რამდენიმე, ან რამდენისამე გუბერნიისათვის ერთი ბანკი. ბანკი იმყოფება ფინანსთა სამინისტროს უწყებაში და განაგებს საბჭო, მინისტრისაგან დანიშნულ გამგესა და სამის წევრისაგან შემდგარი, ადგილობრივ განყოფილებათა მმართველობაში, გარდა მინისტრის მიერ დანიშნულ გამგესა და გუბერნატორის მიერ არჩეულ წევრისა, მონაწილეობას იღებს ერობის ორი წარმომადგენელი კაცი (სადაც ერობა არ არის, იქ ამათ მაგიერ საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულო ჰნიშნავს ორს წევრს).

ბანკი აძლევს სესხს: 1) სოფლის საზოგადოებათ იმ პირობით-კი, რომ ერთმანეთის პასუხის მგებელნი იყვნენ, 2) ამხანაგობათ, რომელთა წევრთა რიცხვი არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები,—იმავე პირობით და 3) ცალკე გლეხებს; ამასთან თითო მეოჯახეს სესხი მიეცემა არა უმეტეს 125 მან. თუ მიწის მფლობელობა სათემოა და არა უმეტეს 500 მან., თუ კერძო მფლობელობაა. სესხი გადახდილი უნდა იქმნას $24^1/_2$ ან $34^1/_2$ წლ. განმავლობაში. სესხის ამღები იხდის ყოველ წლივ ვალის გასასტუმრებლად, თუ სესხი $24^1/_2$—წლითაა აღებული, $1^0/_0$ და თუ $34^1/_2$ წ.—$^1/_2{}^0/_0$-ს; გარდა ამისა, ყოველ ნახევარ წელიწადს: 1) სარგებელს $2^3/_4{}^0/_0$ და 2) ბანკის მართვა-გამგეობისა და სათადარიგო თანხის შესადგენად $1^0/_0$; ასე რომ, სესხის ამღებმა უნდა გადაიხადოს წელიწადში სულ $8^1/_2{}^0/_0$ (თუ სესხი $24^1/_2$ წ.) და $7^1/_2{}^0/_0$ (თუ სესხი $34^1/_2$ წ.)

თუ თავისს დროზედ არ შეიტანა გლეხმა ფული, იგი ვალდებულია იხადოს გადაუხდელ ფულზე $^1/_2{}^0/_0$ ჯარიმა თვეში. ასეთს ჯარიმას გლეხს არ ახდევინებენ, თუ რაიმე უბედურება ეწვია (ავადმყოფობა, ცეცხლი, მოუსავლობა); ამ შემთხვევაში თვითონ ბანკში შესატან ფულისათვისაც 2—3 წელიწადს ვადას აძლევენ მსესხებლებს. თუ სრულებით ვერ შესძლებს გლეხი ბანკის ფულის გადახდას, ბანკი უყიდის მამულს.

რაც შეეხება მამულის ყიდვას ბანკის დახმარებით, ეს საქმე წარმოებს ამ გვარად: თუ მიწას ყიდულობს სოფლის საზოგადოება, ბანკს უნდა წარუდგინოს ყრილობის დადგენილება ამის შესახებ და თუ ამხანაგობა,—ამხანაგობის წევრთა ურთიერთის თავდებობის ქაღალდი. გარდა ამისა, მიწის გამყიდველებმა უნდა წარუდგინონ ბანკს ყოველგვარი საბუთები და პლანები თავიანთ მამულის შესახებ. ამის შემდეგ ბანკი შეაფასებს მიწას და ამის მიხედვით აძლევს მყიდველებს ფასის ნაწილს—75—$80^0/_0$-მდე.

თუმცა საგლეხო ბანკი მხოლოდ გლეხებს აძლევდა სესხს, მაგრამ ბანკის დაარსების შემდეგ მალე მიჰმართეს ფინანსთა სამინისტროს, როგორც ერობებმა ისე კერძო კაცებმა შუამდგომლობით, რომ ამ ბანკიდგან სესხი მისცემოდა ისეთებს, რომლებიც მიწათ-მოქმედებას მისდევენ და თავის მდგომარეობით სრულებით არ განირჩევიან გლეხებისაგან. ამის გამო 1885 წ. ნება დართულ იქმნა, საგლეხო ბანკიდგან სესხი მისცემოდა ხერსონის გუბერნიაში ეგრედ წოდებულ „დესიატინშჩიკებს“, რომლებიც მიწათ-მოქმედობენ, თუმცა საგლეხო წოდებას-კი არ ეკუთვნიან და 1888 წ. იგივე ნებართვა გავრცელებულ იქმნა ზოგიერთა გუბერნიის მეჩანებზედაც.

ჩვენ ახლა ხელთ არა გვაქვს ყველა ცნობა, ამიტომ მკითხველს გავაცნობთ ბანკის მოღვაწეობას მხოლოდ პირველს წლებში.

აი, მოკლე სქემა ამ მოღვაწეობისა:

| წლ.: | 1883 | 1884 | 1885 | 1886 | 1887 | 1888 | 1889 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1) ბანკის განყოფილებათა რიცხვ. | 9 | 16 | 26 | 34 | 37 | 38 | 39 |
| 2) რიცხვი გაცემულ სესხთა: | | | | | | | |
| a) საზოგადოებაზე. | 55 | 307 | 430 | 379 | 406 | 388 | 351 |
| b) ამხანაგებზე . . | 124 | 575 | 887 | 708 | 599 | 596 | 554 |
| c) კერძო კაცებზე. | 50 | 99 | 210 | 213 | 144 | 222 | 238 |
| 3) ბანკის შემწეობით შეძენილის მიწის სივრცე (დესეტ.) | | | | | | | |
| a) საზოგადოებათა მიერ . . | 31391 | 137769 | 216733 | 122756 | 110557 | 91640 | 86193 |
| b) ამხანაგობათა მიერ | 28854 | 131051 | 222373 | 150809 | 146676 | 110687 | 88612 |
| c) კერძო კაც. . . | 174 | 1236 | 3188 | 2007 | 2237 | 4071 | 3427 |
| 4) რამდენი მილ. მან. იყო სესხი . | 3,2 | 14,6 | 22,2 | 13,3 | 9,8 | 7,3 | 6,4 |

ამ სქემიდგან ცხადად სჩანს, რომ 1885 წლიდგან სესხის აღება თანდათან სუსტდება დ გლეხები უფრო და უფრო ცოტა მიწას ჰყიდულობენ ბანკის შემწეობით; 1885 წელს თუ აღებული სესხი 22,2 მილ. მ. იყო, ოთხის წლის შემდეგ იგი დაეცა 6, 4 მილიონამდის და ნაყიდის მიწის სივრცე 442,294 დეს. ჩამოვიდა 178,532 დესეტინამდე; გარდა ამისა, პირველად თუ საზოგადოებანი უფრო მეტს მიწას იძენდნენ ბანკის შემწეობით, შემდეგში უფრო ბევრს ამხანაგობანი ჰყიდულობენ; ცალკე მეოჯახეთა მიერ შეძენილი მიწის სივრცეკი, როგორც პირველად, ისე შემდეგაც სულ მცირეა. საგლეხო ბანკის მოღვაწეობის შემცირება, სხვათა შორის, აიხსნება სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის დაარსებით (1885 წ.), სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკმა საშუალება მისცა თავად-აზნაურთ წინანდელივით ადვილად არ გაეყიდათ მამულები (აქვე შევნიშნავთ, რომ სათავად-აზნაურო ბანკი უფრო შეღავათით აძლევს თავისს მსესხებლებს ფულს, ვიდრე საგლეხო ბანკი, როგორც ხანგრძლივის ვადით, აგრეთვე $^0/_0$-ების სიმცირით და სხ.)

თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს საგლეხო ბანკს გლეხთა მიწის მფლობელობის გაფართოებისათვის, ეს შემდეგის ციფრებიდგან სჩანს.

ბანკის შემწეობით ნაყიდია:

| წლებში | რამდენი დესეტ.: | თითო რა ფასად: | სულზედ ამაში ბანკის სესხი: |
|---|---|---|---|
| 1883 | 2,25 | 118,03 მ. | 104,60 |
| 1885 | 2,06 | 107,22 | 89,23 |
| 1887 | 2,04 | 85,05 | 69,6[illegible] |
| 1889 | 2,18 | 68,73 | 51 |

პირველს 9 წელს (1883—1891 წ.წ.

რომანი უშესანიშნავესი ნაწარმოებია ოსმალურ ბელეტრისტიკისა, თუმცა ტექნიკა რომანისა მეტად სუსტია. იგი უფრო ნიჭიერად დაწერილ პატარ-პატარა სურათებს წარმოადგენს, ვიდრე რომანს. ავტორმა ამ რომანში ჰარამხანის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ოსმალელ იუმორისტთა შორის ცნობილია სეზაში, რომელსაც თავის მოთხრობებში ჰარამხანის ქალებისაგან ათასნაირად მოტყუებული და გაბრიყვებული ქმრები გამოჰყავს. დიდად გავრცელებულია ოსმალეთში ამ ავტორის მოთხრობათა წიგნაკი („წვრილმანი“) და სატირიული რომანი „ქორწილი“ ჰარამხანის ცხოვრებიდგან. ოსმალთა მაღალ საზოგადოების ცხოვრებიდგან რომანი დასწერა ახალგაზრდა კაცმა მუსტაფა რეშიდმა, რომელიც წინად ოსმალეთის სამხედრო აგენტად იყო ევროპის ერთ სახელმწიფოში. სახელად რეშიდის რომანს „ქალწულობის ცოდვა“ ჰქვიან. დრამატურგთა შორის ცნობილნი არიან კემალი (დრამები „სამშობლო“ და „სილისტრია“), ჰუსამედინი (კომედია „თინები“) და მეჰმედ რიფატი (კომედია «ჩვეულება»).

ამ ბოლოს დროს ევროპაც მეტს ყურადღებას აქცევს ოსმალთა პოეზიას. ინგლისში დაიბეჭდა, მაგალითად, ახალი შრომა—ისტორია ოსმალეთის პოეზიისა. ჯერ-ჯერობით პირველი ტომი გამოვიდა. ავტორი თავისს წიგნში ეხება ოსმალეთის პირველ პოეტებს: სულთან ვალედს, ბურხანს, აშიკს, აჰმედს, სულეიმანს, შეიკს, ნიზანს. მალე მეორე ტომიც გამოვა თურმე.

# სასოფლო მეურნეობა.

## II. კვერცხის მდებელი ქათმის ჯიშები.

### 1. იტალიანური ჯიში.

ამ ჯიშის ქათამი იძლევა წელიწადში 100—170 და მეტს კვერცხს. დედალი კვერცხების დების ადრე იწყებს, წიწილების გამოყვანა (კვერცხზედ ჯდომა) არ უყვარს. წიწილა მალე იმოსება და ჩქარა იზრდება. წიწილებს და საზოგადოდ ამ ჯიშის ქათმებს უყვარს მოლი, ვრცელი ადგილი და საირული. დიდად სასურველი ჯიშია ჩვენის ქვეყნისათვის.

### 2. მინორკა.

შესანიშნავი კვერცხის მდებელი ჯიშია: წელიწადში დასდებს 130-220 მსხვილს და თეთრს კვერცხს. შეხედულობით ძალიან ლამაზია: ფერად პრწყინვალე შავია, ერთიანი და დიდი თვირი იცის, ბიბილოებიც დიდი იცის. როგორც კვერცხის მდებელ ჯიშს, მეტის-მეტი საირული უყვარს ზემოხსენებულ იტალიანურის ჯიშსავით ფართო ადგილი ეჭირვება.

### 3. ისპანიის თეთრ-პირა ჯიში.

ამ ჯიშის ქათამი კარგ პატივთან წელიწადში იძლევა 130-180 თეთრს და მსხვილ კვერცხს; თითო კვერცხი იწონს 10-19 მისხალს. ამ ჯიშის ნაკლულევანებანი: წიწილა მალე არ იმოსება ბურტყლით, ნოტიოსი ეშინია, ამიტომაც საქართველოს ნოტიო ვაკე ადგილებში ეს ჯიში ვერ იხეირებს, მაღლობ ადგილებში ცოტა გვიან გაზაფხულში გამოჩეკილი წიწილები კარგ მოდგმას მისცემს.

### 4. ჰამბურგის ჯიში.

ქათამი წელიწადში სდებს 120—220 კვერცხს. წიწილები მალე იზრდება.

### 5. კოხინხინი.

გარეგან ნიშნებით კოხინხინი საუკეთესო კვერცხის მდებელ ქათამს წარმოადგენს, მაგრამ საუბედუროდ საქართველოში და კერძოდ ქუთაისის გუბერნიაში ამ ჯიშმა ეს თვისება დაჰკარგა. ჩვენში, როგორც გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, კოხინხინი არასოდეს არ იძლევა 80 კვერცხზე მეტს, ხშირად-კი მხოლოდ 30—40-ს. სამაგიეროდ კოხინხინმა ხორცი იცის რბილი, წვნიანი და ბევრი. მამალი იწონს 11—12 გირვანქას, დედალი—8—9 გირვანქას. კოხინხინმა ბურდღლი იცის აუარებელი, როგორც ტანზე, ისე ფეხებზედაც; ამიტომ ადვილად იტანს სიცივეს, არამც თუ ჩვენში, მოსკოვშიაც-კი. შეხედულობით მოხდენილი და ლამაზია: პატარა თავსა და თვირ-ბიბილოებთან ვეება ტანი იცის, რომელიც შემოსილია ოქროს ფერის, ან თოვლივით თეთრის, ან ყვითელის, შავად დაწინწკლულის ბურდღლით. დიდი ხანი არ არის, რაც ერთი მამალი და ორი დედალი კოხინხინისა რუსეთში იყიდებოდა 500 მანეთად და ერთი კვერცხი—ათ მანეთად. ლონდონში ეხლაც იყიდება კოხინხინის მამალი 300—800 მანეთამდე. (პირველ ხარისხის მამალი ზოგჯერ ათას მანეთზედაც მეტი ღირს). კოხინხინის ჯიში ეხლა ძალიან გავრცელებულია რუსეთში, მაგრამ იქაური საუკეთესო კოხინხინი ვერ ამოუდგება ლონდონის მესამე ხარისხის კოხინხინს. ჩვენში ამ ჯიშის პირველი გამავრცელებელი იყო ბ. ანანოვი, და ამიტომ ამ ქათმებს ეძახიან ანანოვის (ვანანიას) ქათამს. აქ კოხინხინმა გადააგვარა ბევრი ჩვენი ქათმები და გააუმჯობესა მათის ხორცის გემო.

საზოგადოდ ამ ჯიშის გავრცელებას (წმინდა ჯიშისას) ჩვენში არავის არ ვურჩევ: დედალი თავისის მეტის-მეტის სიმძიმით კვერცხებს ამტვრევს და წიწილებს სჭყლეტს, ნოტიოსი ეშინიან, სენს ვერ იტანს და ხდება მის პირველ მსხვერპლად.

### 6. ბრამა, ბრამაპუტრა.

იყო დრო, როდესაც ბრამა იწონიდა 14—16 გირვანქას და ამასთან აუარებელ კვერცხებს იძლეოდა; ინგლისში ეხლაც მოიპოვება ამისთანა უზარმაზარი ბრამა. რუსეთში-კი ამ ქათამმა დაჰკარგა ორივე თვისება.—მამალი ეხლა იწონს 10—12 და დედალი 8—9 გირვანქას; როგორც სახორცე—ძალიანია, კვერცხის მდებლად-კი ჩვენში უკანასკნელია. წიწილების გამოჩეკა (კვერცხებზე ჯდომა) უყვარს, როგორც კოხინხინს, მაგრამ მეტის-მეტის სიმძიმით წიწილებს ჰხოცავს ფეხებით და ტანით.

ეხლა, როდესაც კავკასიამ და კერძოდ ქუთაისის გუბერნიამ, თავი იჩინა უცხოეთის ბაზრებში აუარებელის ქათმის კვერცხებით და როდესაც კვერცხებს დიდი ფასი აქვს, ბაზრებში რომ ფეხი მოვიკიდოთ და დავემკვიდროთ, სასურველია გავრცელდეს ჩვენში მეტადრე იტალიანური, მინორკა, ისპანიისა და ჰამბურგის ჯიშები.*)

## III. საზოგადო სასარგებლო ქათმები.

### 1. ლანგშანი.

ლანგშანის მამალი იწონის 10 გირვანქამდე, დედალი 7—8 გირ.; ხორცი იცის თვირი და გემრიელი; წელიწადში დასდებს 150—160 კვერცხს, ფერად მოყვითანო-მიხაკის ფერისას, ხშირად კვერცხებს ყავის ფერი წინწკლები აქვს.

ლანგშანი, სანამ მოიკრუხებდეს 40—50 კვერცხს დასდებს. თუმცა წიწილები მალე არ იმოსება ბურდღლით, მაგრამ ბუნებით მაგარი აგებულებისაა და ადვილად იტანს სენს. ლანგშანი ბრწყინვალე შავი ფერისაა.

### 2. ვიანდოტი.

მამალი იწონს 9—10 გირვანქას, დედალი—7—8 გირვანქას; წელიწადში სდებს 180-მდე კვერცხს. ვიანდოტი სხვა-და-სხვა ფერისაა, მაგრამ ფეხები და ნისკარტი ყოველთვის ყვითელი აქვს. ერთ მოქცევაზე დასდებს 40-მდე კვერცხს. შესანიშნავი ლამაზი ქათამია. წიწილები მალე იზრდება.

### 3. პლიმუტროკი.

მამალი იწონს 10 გირვანქამდე, დედალი 7—8 გირვანქამდე, ჯაგო ქათამია, მეტის-მეტი ლამაზია, დასდებს 180 კვერცხს. წიწილები მაგარია და მალე იზრდება. ქათამი ადვილად იტანს ყოველნაირ გარემოებას: ბუნებას, მოვლას. სენისა ახირებულად არ ეშინიან.

ჩვენის ქვეყნისათვის სამივე ჯიშის გავრცელება ძალიან სასურველია.

(შემდეგი იქნება)

ნ. მკურნალი.

*) ვინც ისურვებს ამ ჯიშების გამოწერას, უნდა მიმართოს რუსეთში განთქმულს ფრინველთა მომშენებელს ი. ი. აბოზინს, ან ფრინველების მუზეუმს (Москва. Театральная площадь, Музей Птицеводства, Башня Китай-Города, И. И. Абозину). იქიდანვე შეგიძლიანთ გამოიწეროთ შესანიშნავი ჟურნალი „Птицеводное Хозяйство“. წელიწადში ღირს 3 მანეთი, მასწავლებლებისათვის—2 მანეთი. ცნობების შეტყობა შეიძლება ჩემგანაც (Кутаисъ. Н. Мкурнали).

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო დვაბზუის მცხოვრებს პატივცემულს ნიკო გაბრიელის ძე ოთხმეზურს, რომელმაც კეთილი ინება და გამოუწერა იანვრიდგან მთელის წლის ვადით ჩემდა რწმუნებულს სამრევლო სკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

დვაბზუის სამრევლო სკოლის ზედამხედველი მღ. იონა ღლონტი.

### II

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთ «ივერიის» საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ შუამთის მონასტრის ხაზინადარს მამა ტარასის, რომელმაც დაუკვეთა ამა იანვრის პირველიდგან საყმაწვილო ჟურნალი «ჯეჯილი» ჩემდამი რწმუნებულს ახლად გახსნილს ს. ქისტაურში სამრევლო-საეკლესიო სკოლას.

გამგე სკოლისა მღვდელი. ი. მენთეშაშვილი და მასწავლებელი ქ. საყვარელიძე.

# დეპეშა

(,,რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან'').

15 მარტი.

**პეტერბურგი.** „მთავრობის განკარგ. კრებულში“ დაბეჭდილია ხელმწიფის ბრძანება, რომ მომავალ წლის 1 იანვრამდის გაგრძელდეს ვადა 1899 წ. მაისის 3-ს გამოცემულ დროებით წესდების შესახებ გზათა სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა მოწყობისა.

დღეს, მარტის 15-ს, დილით, აქ ჩამოვიდა ბოლგარიის უცხო საქმეთა მინისტრი დანევი.

**ვარშავა.** აქ უნდათ შეადგინონ ამხანაგობა რომანოვის სისტემის ელექტრიულ ეტლთა მიმოსვლისა.

გამასწორებელ საპატიმროს აშენებელმა კომიტეტმა დაავალა იჯარადარს დააზღვიოს მუშები უბედურ შემთხვევათაგან.

**ურალსკი.** დაარსდა განყოფილება ურალის «ტყის მეგობართა» საზოგადოებისა ქალაქს ილეცკში და ანტონოვისაში. წევრებად ჩაეწერნენ 95 კაცი.

**ბანჯა.** საფრანგეთის კაპიტალისტთა კომპანიამ შეიძინა ერთი ნაჭერი მიწა მადნის დასამუშავებლად.

**ვილნო.** ზოგად საქმეთა დირექტორი როგოვიჩი დღეს პეტერბურგში მიდის.

**ლოძი.** ამ რამდენისამე კვირის განმავლობაში აქედგან ბევრი გერმანელები მიდიან ოჯახებით ციმბირსა და შორეულს აღმოსავლეთში დასასახლებლად.

**პეტერბურგი.** მარტის 14 მარინის თეატრში გამართულ იქმნა წარმოდგენა მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოდგენას დაესწრნენ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი და სამეფო გვარეულობის გვამნი.

16 მარტს.

**პეტერბურგი.** პრინცი ალექსანდრე პეტრესძე ოლდენბურგელი უკეთ არის. დაიწყო არაყის გამომხდელ მექარხნეთა თათბირი ამ თვის 15-ს, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის კოკოვცევის თავმჯდომარეობით ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ხელშეკრულობა ვარშავსა და ბერლინს შუა საწოალი ვაგონების მიმოსვლის შესახებ. სპარსეთის შაჰმა შესწირა შემახელებს 5.000 მან.

**კიევი.** ,,კიევლიანინის'' რედაქციაში შემოვიდა 3.300 მანეთამდე შემახელების სასარგებლოდ. ქალაქის განაპირას მიაკვლიეს ბებერი დედაკაცი, რომელიც ძუძუ-მწოვარ ბავშვებს იბარებდა აღსაზრდელად; პოლიციამ ნახა ერთი ძვალტყავად ქცეული მდედრობითი სქესის ბავშვი და ერთი პატარა ვაჟის ჩონჩხი შჩვრებში. მეზობლების სიტყვით ამ მოკლე ხანში ბებრის სახლიდგან გამოიტანეს ექვსი მკვდარი ბავშვის გვამი. ჰფიქრობენ, რომ ბებერი შიმშილით ჰკლავდა ბავშვებს.

**მოსკოვი.** ერთმა საკერავ მაშინების დიდმა ფირმამ გამოაცხადა სურვილი შინა მრეწველთ მიაწოდოს საკერავი მაშინები სხვა-და-სხვა შინა მრეწველობისათვის გამოსადეგნი. სპარსკო-რუსკის სოფლის შინა-მრეწველთ, რომელნიც ცეცხლის საქრობ მილებსა და ორთქლის მაშინებს ამზადებენ, აზრადა აქვთ სცადონ ავტომობილის გაკეთება. თუ მოახერხეს ერთის გაკეთება, მერმისისათვის შესდგება ,,ავტომობილების კეთების არტელი.''

**ჰააგა.** ,,დაგბლადი'' იტყობინება, რომ დედოფალი ვილჰელმინა ფეხ-მძიმედ ბრძანდება და მორჩენას ენკენისთვეში მოელის, თუმცა ეს ოფიციალურად არ არის გამოცხადებული.

**კრონშტადტი.** მოვიდნენ ბურების დელეგატები ერთს დელეგატთაგანს, თავად ახვეულს, ნება დართეს დაევლო ინგლისთა ბანაკები და წასულიყო მტეინის სანახავად.

### პეტერბურგის ბირჟა 8 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94, |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | $4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96\frac{5}{8}$ გაყიდ. |
| $4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $93\frac{3}{4}$ წვრ. გაყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | $470\frac{1}{2}$ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $369\frac{1}{2}$ გაყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 307 გაყიდ. |
| $4\frac{1}{2}$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | $94\frac{7}{8}$ |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | $83\frac{1}{4}$ გაყიდ. |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10,671 წვ. გაყ. |
| აქციები ,, | 531 გაყიდ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4,750 გაყიდ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 435 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | — |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 226 წვ. გაყ. |


# განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ბ-ბ. ამომრჩეველთ, რომ ვისაც ჰსურს თავის სახელზე ქონებათა გადატანა და აგრეთვე განცხადების შემოტანა მასზე, თუ რომელ საარჩევნო უბანში ჰსურს მიიღოს მონაწილეობა ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალს არჩევანებში, ყველა ამის საბუთის ქაღალდების წარმოდგენის ვადა განგრძობილია 1902 წლის 10-ს აპრილამდის.

(3—6.—3)

## წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

| | |
|---|---|
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | 15 კ. |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | 15 ,, |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | 5 ,, |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | 30 ,, |
| აბო ტფილელი, ე. კ. | 30 ,, |
| Або Тифлисскій, Е. К. | 5 ,, |
| ამბავი მადლის ქვისა | 5 ,, |
| ავიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | 15 ,, |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. 50 ,, |
| ბერანჟე, თარგ. [illegible] | 40 ,, |
| ბენია. | 10 ,, |
| ბუნების [illegible] დებს | 15 ,, |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. | 30 ,, |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის 1 მ. | 30 ,, |
| გლეხ-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ. | 20 ,, |
| გამზრდელი, აკაკისა | 5 ,, |
| გასართობი | 10 ,, |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა | 15 ,, |
| გუსტავ ვაზა | 5 ,, |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | 60 ,, |
| გიორგი და მიხეილი | 10 ,, |
| Древный Анчисхатскій соборъ. | |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, 30 |
| ხანგი, ვ. აბაშიძისა | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | ,, 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა | ,, 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა | 1 ‘‘ |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | ,, 50 |
| Карбеловъ | ,, 20 |
| დედა, ანდერსენისა | 8 ,, |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 მ. ,, |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | 20 ,, |
| Двѣ святины въ Кахетіи, Е. К. | 10 ,, |
| Давидъ Гареджели, Е. К. | 15 ,, |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა | 15 ,, |
| ელენე, მოთხრობა | 5 ,, |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | 40 ,, |
| Назрѣвшій вопросъ, Е. К. | 20 ,, |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა | 5 ,, |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ | 3 ,, |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | 30 ,, |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი. | 25 ,, |
| რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | 40 ,, |
| სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. | 60 ,, |
| აერთ დღესასწაული | 25 ,, |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | 30 ,, |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | 40 ,, |
| თამარ-დედოფლის სამკაული | 10 ,, |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა | 50 ,, |
| ისტორია ქართულ სტამბებისა. | 15 ,, |
| იანიხარი, დ. ნახუცრიშვილისა. | 40 ,, |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა | 60 ,, |
| კოპერნიკიდან დარვინამდე | 10 ,, |
| კანდელი, მ. ლელაშვილისა | 15 ,, |
| Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. | 1 р. 50 к. |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргарeтели | 30 ,, |
| კუბიკები ქართულის ანბანისა | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილისა | ,, 50 |
| ევდოშვილისა | ,, 50 |
| რ. აბაშიძისა | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილისა | ,, 25 |

ფაბრიკის ნიშანი

# გაფრთხილება

თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცისა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

# პაპიროსები,

რომლებიც გარეგან შეხედულობით ძლიერ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იგივე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

# ყოველივე შეცდომის ასაცილებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი, რომელიც ნება-დართულია უმაღლესის მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ-წარწერას

**Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-ми.**

(10—282—10)


…კმა გასცა სულ 60.617,000 მან. სესხი; თვითონ გლეხებმა დაუმატეს ამ ფულს მიწის შესაძენად თავის მხრივ მხოლოდ $14\frac{1}{2}$ მილ. მან. ყველა ამ ფულით 248,896 მეოჯახეს უყიდნია 1.742,331 დესეტინა მიწა (ამ რიცხვში სოფლის საზოგადოებათ უყიდნიათ 796,924 დეს., ამხანაგობათ 924,405 დეს. და კერძო კაცთ 21,002 დეს. ბანკის დღევანდელის მდგომარეობის დასახატავად საკმარისია ის ფაქტი, რომ 1900 წ. ბანკმა გასცა $53\frac{1}{2}$ მილ. მან. სესხი!

შესამჩნევად შესცვალა საგლეხო ბანკის მოქმედება 1895 წელს გამოცემულმა კანონმა, რომლის ძალით ბანკს, გარდა სესხის გაცემისა, შეუძლიან თავის სახელზე იყიდოს თავისუფალი, გასაყიდი მამულები და შემდეგ გლეხებს მიჰყიდოს. ეს კანონი დროებითი იყო და გამოიცა მხოლოდ 5 წლით, მაგრამ მთავრობამ საჭიროდ დაინახა 1900 წ. მისი განგრძობა კიდევ 10 წლით.

ამ აზრით საგლეხო ბანკს უყიდნია 1895—1900 წ. 498.423 დესეტინა მიწა 27,4 მილ. მანეთად. კერძოდ 1900 წ. ბანკს შეუძენია 94,527 დეს. მიწა 6 მილ. მანეთად და აქედგან მიუყიდნია გლეხებისათვის 91000 დეს. 5,100,000 მანეთად (ორის მილიონ მან. შეუძენიათ ამხანაგობათ, 2,8 მილ.—სოფლის საზოგადოებათ და დანარჩენი—ცალკე მეოჯახეებს).

საინტერესოა, თუ ვისგან უფრო გადადის გლეხების ხელში ადგილ-მამული. 1900 წ. პირდაპირ ბანკის მიერ შეძენილ 94,527 დესეტინაში თავად-აზნაურობისა და მოხელეთაგან იყო ნაყიდი 77 ათ. დეს., ვაჭრებისა და საპატიო მოქალაქეთაგან 9 ათ. დეს. დანარჩენი-კი გლეხებისაგან. საზოგადოდ საგლეხო ბანკის შემწეობით გლეხების მიერ შეძენილ ადგილ-მამულში 1895 წ. თავად-აზნაურთაგან გადმოსული იყო 67,9%, 1896 წ.—59,3%, 1897 წ.—56%, 1898 წ.—60,1%, 1899 წ.—57,4% და 1900 წ.—56,1%. ეს ციფირები, სხვათა შორის, ცხად ჰყოფს ცხოვრების აუცილებელს პროცესს; თავად-აზნაურობას, როგორც თავად-აზნაურობას, არ ძალუძს შეირჩინოს მიწის მფლობელობა და მიწათ-მოქმედების გაძღოლა… ასეთია საგლეხო საადგილ-მამულო ბანკი რუსეთში.

როგორც მკითხველმა უწყის უკვე, საგლეხო ბანკს კავკასიაშიაც აარსებენ. მაგრამ ჩვენში ამ ბანკს სულ სხვა დანიშნულება ექნება; იგი ბანკი სულ სხვა საგანს უნდა ემსახუროს აქ.

სიტყვა.